

ენერგეტიკული სტრატეგია - ენერგეტიკის სექტორის ყველაზე მომგებიანი პროექტი

საქართველო ენერგეტიკულად დამოკიდებული ქვეყანაა - ენერგომომარაგების დაახლოებით 65%-ს გარე წყაროებიდან ვიღებთ. მიუხედავად ჰიდროენერგეტიკული რესურსებით სიმდიდრისა, ელექტროენერგიაშიც დეფიციტია. გამომუშავება ქვეყნის სრულ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს და ელექტროენერგიის იმპორტი ექსპორტს აღემატება. ენერგიის იმპორტი ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს და პოლიტიკური დამოკიდებულების საფრთხეებს აჩენს. ის, თუ როგორ შეიცვლება გარე რესურსებზე დამოკიდებულება და როგორ აისახება ეს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე ან მის გარემოზე, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტურ სტრატეგიას ავირჩევთ ამ დარგში.

მთელ მსოფლიოში ენერგიაზე გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის ქვეყნები სხვადასხვა ღონისძიებას მიმართავენ, ავითარებენ ტრადიციულ თბო და ჰიდრო ენერგეტიკას, ასევე მზის, ქარის, ბიომასის, გეოთერმულ ენერგიას, ზრუნავენ ენერგოეფექტურობაზე, ცდილობენ მეტი დაზოგონ და რაციონალურად გამოიყენონ არსებული რესურსები. ეს ყველაფერი განსაზღვრული და ჩამოყალიბებულია ამ ქვეყნების ენერგეტიკულ სტრატეგიებში, სადაც მოცემულია მიზნები და მათი მიღწევის კონკრეტული ოპტიმალური ღონისძიებები. სტრატეგიების შემუშავებაზე მთავრობის უმაღლესი ეშელონების მეთვალყურეობით ერთობლივად მუშაობენ სპეციალისტთა და პოლიტიკოსთა ჯგუფები და კვლევითი ორგანიზაციები.

საქართველოში, სამწუხაროდ, რეალური ენერგეტიკული სტრატეგია ჯერ კიდევ არ გვაქვს. სტრატეგიული ხედვის ნაკლებობის გამო, განხორციელებული პროექტები და ორგანიზაციულ-საკანონმდებლო ნაბიჯები არასაკმარისად კოორდინირებული და ნაკლებ ეფექტურია, რამაც უკვე მოიტანა ბევრი უარყოფით შედეგი: სათანადო ტემპით ვერ ხორციელდება ახალი ჰიდროსადგურების მშენებლობა, ვერ ვითარდება ჩვენი წიაღისეული ნედლეულის მოპოვება-გადამუშავება, ვერ ვიყენებთ მზის და ქარის ენერგეტიკულ პოტენციალს და ვფლანგავთ ისედაც მცირე ენერგიას. არაპროგნოზირებადი მომავლის გამო, ფერხდება კვალიფიციური სტრატეგიული ინვესტორების შემოსვლა ქვეყანაში და ხარისხიანი პროექტების განხორციელება.

იმისათვის რომ სტრატეგია ფასეული იყოს, აუცილებელია მის უკან იდგას სტრატეგიის შემუშავების, განხორციელების და კონტროლის ქმედითი მექანიზმები. სტრატეგიის შექმნაზე უნდა მუშაობდნენ სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ გადაწყვეტილების სხვადასხვა შესაძლო ვარიანტების მომზადების და მათი შედეგების ანალიზისთვის საჭირო სარწმუნო და სრული ინფორმაცია. საბოლოო გადაწყვეტილებები კი უნდა შეირჩეს პოლიტიკოსთა ჩართულობით, სახელმწიფოს პოლიტიკური ხედვებისა და

პრიორიტეტების გათვალისწინებით. თავის მხრივ საზოგადოება და პარლამენტი კვალიფიციურად უნდა აკონტროლებდეს სტრატეგიის განხორციელებას.

სანამ ამ ეტაპამდე მივალთ ბევრი სხვადასხვა ნაბიჯია გადასადგმელი: შესაქმნელია მონაცემთა შეგროვების და ანალიზის სისტემა (ენერგეტიკული ბალანსი), შესამუშავებელია ენერგეტიკული პოლიტიკის ხედვები და მიმართულებები და, რაც მთავარია, განსავითარებელია პროფესიული კადრები და სამუშაო პროცესები რომელიც ენერგეტიკის სტრატეგიის შემუშავებას და განხორციელებას სიცოცხლისუნარიანს და ეფექტურს გახდის. ასევე ასამაღლებელია საზოგადოების ენერგეტიკული ცნობიერება და კონტროლის უნარი.

ჯერჯერობით, ენერგეტიკული სტრატეგიების და კონცეფციების მიმართ მეტად ზედაპირული მიდგომაა გავრცელებული. საზოგადოების და პოლიტიკოსთათვის, მწირი ინფორმაციის და ინდივიდუალური შეხედულებების საფუძველზე ხდება ისეთი კონცეფციების და გადაწყვეტილებების შეთავაზება, რასაც სინამდვილეში ფართო კომპლექსური ხედვა მრავალფაქტორული ანალიზი და ურთულესი გათვლები ესაჭიროება. ამის შედეგია, რომ ხშირად ჩვენი პოლიტიკოსები და სპეციალისტები კვლავაც ზედაპირული, მცდარი კონცეფციებით ოპერირებენ და საფუძვლიან სკეფსისს იწვევენ.

დღეს ენერგეტიკის სამინისტროც, არასამთავრობო სექტორიც და ექსპერტებიც თანხმდებიან, რომ აუცილებელია ახალი ენერგეტიკული პოლიტიკის და სტრატეგიის შემუშავება, რომელიც აგვაცილებს ისედაც შეზღუდული რესურსების არარაციონალურ ხარჯვას, ხელს შეუწყობს ინვესტიციების შემოსვლას და სექტორის სწრაფ განვითარებას.

ჩამოყალიბებული და სამინისტროს მიერ სამოქმედოდ მიღებულია ენერგეტიკული პოლიტიკის და სტრატეგიის შემუშავების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს როგორც სტრატეგიის შინაარსობრივი მხარის, ასევე შესაბამისი პროფესიული მექანიზმის ჩამოყალიბებას. ამისთვის აუცილებელია სახელმწიფო სტრუქტურების, სექტორის გამოცდილი და ახალგაზრდა სპეციალისტების, უცხოელი ექსპერტების მჭიდრო თანამშრომლობა; ანალიზის თანამედროვე კომპიუტერული მეთოდების გამოყენება, საზოგადოებრივი კონსულტაციები და პოლიტიკოსთა მეტი ჩართულობა დარგის სიღრმისეული სისტემური პრობლემების გადაწყვეტაში. ამ ეტაპზე საჭროა საკმარისი რესურსების გამოყოფა და ამ პროგრამით სამუშაო პროცესის დაწყება, რომლის ორგანიზება და კოორდინირებაც ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს კომპეტენციაა.

ასევე მნიშვნელოვანია ამ პროცესის საზოგადოებრივი და საპარლამენტო კონტროლის ხარისხის ამაღლება. აუცილებელია რომ ყურადღება დაეთმოს არა მხოლოდ ტარიფის

სიდიდეს, არამედ იმას, რომ დარგს, რეალისტური და მეთოდურად უზრუნველყოფილი სტრატეგიით, განაგებდეს პროფესიულად გამართული მართვის თანამედროვე სისტემა, რაც თავად გახდება ენერჯის ფასების ოპტიმიზაციის, საიმედოობის უზრუნველყოფის და მდგრადი განვითარების გარანტია.

თუთა კვარაცხელია

მურმან მარგველაშვილი